

გვანცა აბდალაძე

ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელ-ფოსტა: gvantsa.abdaladze@tsu.ge

ძალის დიფუზია და საერთაშორისო წესრიგის ჰიბრიდიზაცია

აბსტრაქტი

სტატია მიზნად ისახავს გააანალიზოს საერთაშორისო წესრიგის ძალის დიფუზიაზე დაფუძნებული ტრანსფორმაცია როგორც თეორიულ ჭრილში, ასევე შემთხვევის ანალიზის დახმარებით, რომლისთვისაც შერჩეულია ევროპის სტრატეგიული ავტონომია. სტატიის მიზანია პასუხი გასცეს შეკითხვას: როგორ გარდაქმნის ძალის დიფუზია საერთაშორისო წესრიგის სტრუქტურას, ძალაუფლების განაწილებასა და მოქმედი აქტორების სისტემას?

ძალის დიფუზიის პირობებში უკვე მოხდა ომების ტრანსფორმაცია ჰიბრიდულ ომებად (ბუნდოვანი საზღვრით ომსა და მშვიდობას შორის), მშვიდობის კონცეფციებში ჰიბრიდული მშვიდობის ტერმინის გაჩენა (სადაც ასევე ბუნდოვანია, რა განსხვავებაა მშვიდობასა და კაპიტულაციას შორის). ძალის დიფუზიაზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის ტრანსფორმაცია ქმნის არა ალტერნატიულ წესრიგს, არამედ ახდენს თავად წესრიგის დიფუზიას და ჰიბრიდიზაციას. ჰიბრიდული ომისა და ჰიბრიდული მშვიდობის მსგავსად, ჰიბრიდულ წესრიგში ბუნდოვანია თავად წესრიგის არსი და პოლუსებს შორის ინტერაქციის ლოგიკა.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო სისტემა, ძალის დიფუზია, სტრატეგიული ავტონომია, ჰიბრიდული წესრიგი.

შესავალი

ცივი ომის ბიპოლარული საერთაშორისო წესრიგის დასრულების შემდეგ სისტემა უნიპოლარული გახდა. ხშირად დასმულა შეკითხვა, ერთპოლუსიანი სამყარო შესაძლებელია თუ არა ხანგრძლივად შენარჩუნდეს, თუ ეს მხოლოდ გარდამავალი პერიოდია სისტემური ტრანსფორმაციის პერიოდში?

რუსეთის ოფიციალური პირებისა თუ რუსული სკოლის თეორეტიკოსების აზრით, საერთაშორისო წესრიგი ერთპოლუსიანია აშშ-ის დომინაციით ცივი ომის დასრულებიდან დღემდე და რუსეთის მისიაა მრავალპოლუსიანი საერთაშორისო პოლიტიკის ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ჰეგემონის (აშშ) დასუსტებას, არამედ აშშ-ის ჰეგემონიის პირობებში ჩამოყალიბებული საერთაშორისო სამართლის წესების შეცვლას. ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ამერიკული უნიპოლარიზმის იდეა კრემლის მაღალჩინოსნების იდეოლოგიური ხედვა უფროა, ვიდრე რეალობა, უნიპოლარიზმი კი მხოლოდ დროებითი, გარდამავალი მდგომარეობაა ტრანსფორმაციულ პროცესში. ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში 9/11 -ის ტერაქტმა მსოფლიოს ამცნო ახალი ეპოქის დაწყება. ეტაპობრივად დაიწყო რღვევა ორპოლუსიანი სტაბილურობის საფუძვლებმა და არ დასრულებულა ახალი პოლუსების ფორმირების პროცესი.

ყველასთვის ცხადია, რომ დღევანდელი მულტიპოლარობა ვერ შედგება მე-19 საუკუნის ლოგიკით. დღეს ჰეგემონად/პოლუსად ჩამოყალიბება აღარ არის დაკავშირებული გეოპოლიტიკასთან (ძალაუფლება ტერიტორიული გავრცობით), არამედ გეოეკონომიკასთან, სადაც გლობალიზებულ სამყაროში ძალაუფლების ღერძად ჩამოყალიბებისთვის სამხედრო ძლიერების გარდა მნიშვნელოვანია ეკონომიკური და ტექნოლოგიური ძლიერება. ასევე, მთავარი შეკითხვა დაესმის არა პოლუსების რაოდენობას, არამედ თუ როგორ იცვლება ძალაუფლების ბუნება და პოლუსების ფუნქციური ლოგიკა 21-ე საუკუნეში. მიმდინარე ძალის დიფუზია (ძალაუფლების ჩაშლა, განაწილება სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებს შორის. იგულისხმება არა მხოლოდ სამთავრობო თუ არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები ან მულტინაციონალური კორპორაციები, არამედ ისეთ ჯგუფებაც როგორცაა ტერორისტული ორგანიზაციები, ჰაკერული ჯგუფები, ტექნოლოგიური პლატფორმები და სხვ.) ხომ ძირეულად ცვლის ძალის ტრადიციული ტრანზიციის (ძალის გადაცემა ერთი აქტორიდან მეორეზე) ლოგიკას.

რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომმა და აშშ-ის მიერ წარმოებულმა არც თუ ეფექტურმა სამშვიდობო ინიციატივებმა გაააქტიურა მსჯელობა

საერთაშორისო წესრიგის ცვლილებაზე. გაჩნდა მრავალი შეკითხვა: წესრიგის ცვლილებას მოახდენს თუ არა თავად აშშ, რადგან ჰეგემონიის დასუსტების პირობებში არსებული წესრიგის შენარჩუნებაზე მეტი მნიშვნელობა ეროვნული ინტერესების დაცვას მიანიჭა მმართველმა ელიტამ? ბიპოლარული ცივი ომის შემდეგ აღმოცენებული ახალი პოლუსებიდან (ევროკავშირი, ჩინეთი, რუსეთის ფედერაცია) რომელი შეძლებს დასახული მიზნების მიღწევას? უნდა ვიმსჯელოთ საერთაშორისო წესრიგზე, როგორც ერთიან გლობალურ სისტემაზე, თუ წესრიგებზე მრავლობითში? იცვლება თუ არა საზღვრების ურღვევობის პრინციპი უკრაინაში, რაც დომინოს პრინციპით გამოიწვევს ახალ კონფლიქტებს და ძალაუფლების ახალ გადანაწილებას მსოფლიოს ყველა კონტინენტზე? კარგავს თუ არა აშშ ჰეგემონის სტატუსს (ძალის ტრანზიციის ისტორიულად აპრობირებული ლოგიკა) თუ ძალის დიფუზიამ განაპირობა „ამერიკული ძალაუფლების პარადოქსი“ რომლის დროს არც ერთ ცალკე აღებულ სახელმწიფოს ან თუნდაც ჰეგემონს აღარ შეუძლია საკუთარი მიზნების მიღწევა კოლექტიური თანადგომის გარეშე (Nye, 2002)?

განვიხილავთ რა ძალის დიფუზიას როგორც არსებულ მოცემულობას, რომელიც განაპირობებს საერთაშორისო წესრიგის ტრანსფორმაციას, რუსეთ უკრაინის მიმდინარე ომი მიგვაჩნია პროცესის კატალიზატორად და არა მიზეზად. ომმა ხილული გახადა საერთაშორისო სისტემაში ძალაუფლების კონფიგურაციის არსებული კრიზისი, რაც განსაკუთრებულ პრობლემებს ქმნის საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნისთვის, რომლის მონაწილეობა საერთაშორისო სისტემაში შეზღუდულია მრავალი ფაქტორით (რონდელი, 2009).

იმის გათვალისწინებით, რომ ძალის ტრანზიციაზე დაფუძნებული ცვლილებები არ არის ახალი ფენომენი, და შესაბამისად, პროგნოზირებადია შედეგები, სტატიის ამოცანაა გაანალიზოს ძალის დიფუზიაზე დაფუძნებული წესრიგის ტრანსფორმაცია როგორც თეორიულ ჭრილში, ასევე შემთხვევის ანალიზის დახმარებით. სტატიის მიზანია პასუხი გასცეს შეკითხვას: როგორ გარდაქმნის ძალის დიფუზია საერთაშორისო წესრიგის სტრუქტურას, ძალაუფლების განაწილებასა და მოქმედი აქტორების სისტემას?

კვლევის თეორიული ჩარჩო ეფუძნება კონსტრუქტივიზმის სკოლას, თუმცა განხილულია სხვა თეორიული მიდგომებიც (ნეორეალიზმი, ლიბერალიზმი), რათა მოხდეს ჰიბრიდული წესრიგის უფრო სრულყოფილი გაანალიზება.

საერთაშორისო წესრიგის ჰიბრიდიზაცია: თეორიული პერსპექტივა

ცივი ომის პირველი ეტაპი გამოირჩეოდა გავლენის სფეროების ჩამოყალიბების პროცესის თანმდევი ესკალაციით ნატოსა და ვარშავის ბლოკებს შორის. კუბის კრიზისის შემდგომი დათბობის პერიოდში გამოიკვეთა არა მხოლოდ დაპირისპირებულ ბლოკებს შორის ურთიერთობის დეესკალაციის დინამიკა და თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები, არამედ ისეთი ახალი ტენდენციაც, როგორცაა ზოგიერთი სახელმწიფოს გაძლიერება ბლოკებს შიგნით (მათ შორის, ევროპული სტრუქტურების ფორმალიზაცია) და ბლოკებს მიღმა მყოფი სახელმწიფოების გააქტიურება პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ასპარეზზე. მიმდინარე პროცესები აისახა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევებში. დასავლურ (უმეტესად ამერიკულ) ლიტერატურაში 1960-იან-1970-იან წწ.-ში გააქტიურდა მსჯელობა საერთაშორისო პოლიტიკის ახალი აქტორების შესახებ, რომელთა გაძლიერება მოახდენდა ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის ტრანსფორმაციას უახლოეს მომავალში. მულტიპოლარიზმის შესაძლო ჩამოყალიბება განხილული იყო როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ ჭრილში. შესაძლო პოზიტიურ შედეგად სახელდება ბიპოლარული მსოფლიოს დეესკალაციის შესაძლებლობა, ხოლო შესაძლო ნეგატიურ შედეგად არასტაბილურობა საერთაშორისო პოლიტიკაში. ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლუსად ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვან კრიტერიუმებად მოიაზრებოდა როგორც ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარება, ასევე რეგიონის მასშტაბით პოლიტიკური თუ ეკონომიკური ზეგავლენები. ე.წ. აღმავალ ძალებად სახელდება იაპონია და ჩინეთი.

სტრუქტურული რეალიზმის სკოლამ ახალი აქცენტები გამოკვეთა არსებულ დისკუსიაში. ერთის მხრივ, საერთაშორისო სისტემა დასახელდა დამოუკიდებელ ცვლადად (შესაბამისად, მულტიპოლარიზმი აღქმულ იქნა როგორც ახალი პოლუსების ჩამოყალიბების პროცესი არსებულ საერთაშორისო სისტემაში), მეორეს მხრივ კი ნეორეალისტებმა დაიწყეს მსჯელობა, როდის და რა ლოგიკით დაკარგავდა ამერიკის შეერთებული შტატები ჰეგემონის პოზიციას და ამერიკული ჰეგემონიის დასრულების შემდეგ შეიცვლებოდა მხოლოდ ჰეგემონი თუ ამერიკულ ჰეგემონიაზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგიც.

აღნიშნული დისკუსია გააგრძელა ნეოკლასიკური რეალიზმის თანამედროვე ავტორმა, ფარიდ ზაქარიამ მის ბესტსელერ წიგნში „პოსტ-ამერიკული მსოფლიო“. ზაქარიას ხედვით, აშშ კი არ კარგავს ძალას, არამედ სხვა სახელმწიფოები ძლიერდებიან („the rise of the rest“). აშშ-ის

როლი მცირდება, მაგრამ რჩება მნიშვნელოვნად. საერთაშორისო სისტემის ტრანსფორმაციის საფუძველია დასავლური ლიდერობის პარალელურად მულტილატერალიზმის გაღრმავება, რაც შექმნის პოლიცენტრიზმს. ლიბერალური წესრიგი შესაძლებელია შენარჩუნდეს, თუ აშშ მოერგება ახალ როლს (Zakaria, 2008).

საერთაშორისო წესრიგის ძალის ტრანზიციაზე დაფუძნებული ხედვებისგან განსხვავებით, რომელიც ახალი პოლუსების გაჩენას ან ჩელენჯერის აღზევებას არსებულ საერთაშორისო წესრიგში მოიაზრებს, ძალის დიფუზიაზე დაფუძნებული ხედვები ეჭვის ქვეშ აყენებს თავად საერთაშორისო წესრიგისა და მისი ტრადიციული აქტორების რაობას.

რეალისტებისგან განსხვავებით, ლიბერალიზმის თეორეტიკოსები ძალაუფლების დიფუზიას საფრთხედ არ განიხილავენ, დიფუზია შესაძლებლობაა ინკლუზიური და მოქნილი საერთაშორისო წესრიგისთვის. მრავალაქტორული ჩართულობა ამცირებს კონფლიქტების შანსს და აძლიერებს მულტილატერალიზმს, თანამშრომლობასა და საერთო ღირებულებებზე დაფუძნებულ პოლიტიკას (Keohane & Nye, 2012).

კონსტრუქტივისტული და პოსტმოდერნისტული მიდგომები ძალაუფლების დიფუზიას განსხვავებული ჭრილით განიხილავს. აქ აქცენტი კეთდება არა მხოლოდ იმაზე, „ვინ ფლობს ძალას“, არამედ რა არის „ძალა“ და როგორ ყალიბდება მისი მნიშვნელობა სოციალურ კონტექსტში. ამ მიდგომებში ძალაუფლების გაგება მოიცავს დისკურსულ, სიმბოლურ და კულტურულ ფორმებსაც, რომლებიც ხშირად უგულებელყოფილია რეალისტურ ან ლიბერალურ ანალიზში (Wendt, 1999; Foucault, 1977).

დასავლური უნივერსალიზმის კრიტიკოსის, კრიტიკული კონსტრუქტივიზმის თანამედროვე ავტორის ამიტავ აჩარიას მიხედვით, გლობალური ცვლილებები დაკავშირებულია არა მხოლოდ ძალაუფლების დიფუზიასთან, არამედ ნორმატიულ ცვლილებებთან. ვინაიდან ლიბერალურ წესრიგს არა-დასავლური საზოგადოები არ აღიქვამენ საკუთარი ღირებულებებისა და ინტერესების შესაბამისად, გარდაუვალი ხდება მულტიკულტურული პლურალისტური წესრიგის შექმნა (Acharya, 2018). თუ ზაქარიასთვის წესრიგის ცვლილება უკავშირდება რეფორმირებულ წესრიგს, აჩარიას მიხედვით ხდება სისტემური ცვლილებები, ნორმების და ღირებულებების დივერსიფიკაცია და მრავალგანზომილებიანი (multiflex) წესრიგის შექმნა (Acharya, 2017).

თანამედროვე პოპულარული ამერიკელი ავტორის იან ბრემერის მიხედვით, თანამედროვე საერთაშორისო წესრიგი არ დაიშალა

ტრადიციული მულტიპოლარობის ფორმით (ძალის ცენტრების გამრავლებით), არამედ წესრიგი დიფუზირდა და გადანაწილდა განსხვავებულ სისტემებად. გლობალური უსაფრთხოების წესრიგი კვლავ უნიპოლარულია აშშ-ის ლიდერობით; გლობალური ეკონომიკური წესრიგი მულტიპოლარულია და მას აყალიბებენ ისეთი ძალები, როგორცაა აშშ, ჩინეთი, ევროკავშირი, იაპონია და სხვები; ციფრული წესრიგის შექმნა ჯერ კიდევ დაუსრულებელი პროცესია და სახელმწიფოების ნაცვლად პროცესს აკონტროლებენ ტექნოლოგიური კომპანიები (Bremmer, 2012).

გარდა საერთაშორისო სისტემის ტრანსფორმაციის ზემოთხსენებული ხედვებისა, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა სკოლას ეფუძნება, მოკლედ უნდა შევხვით ავტორებს, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ რეგიონალიზმის საკითხებს. აღსანიშნავია, რომ რეგიონალიზმის მკვლევრები ტრანსფორმაციის საფუძვლად თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებენ როგორც ძალის ტრანზიციას, ასევე ძალის დიფუზიას.

ბარი ბუზანის მიხედვით, მსოფლიო სისტემა გადადის რეგიონალიზაციის ეტაპზე. დასავლეთი კარგავს უნივერსალურ გავლენას და ძალაუფლების გადანაწილება ხდება რეგიონებში. მე-20 ს.-ის იდეოლოგიების კრახის შემდეგ, მსოფლიო წესრიგი აღარ ეყრდნობა ერთი ცენტრის მოდელს. გლობალური ჰეგემონია აღარაა ლეგიტიმური, თუმცა რეგიონულ დონეზე ჰეგემონური მისწრაფებები მაინც არსებობს. ყალიბდება მრავალფეროვანი რეგიონული საზოგადოებები, რომლებიც არ ებრძვიან ერთმანეთს უნივერსალური გავლენისთვის, არამედ ცდილობენ სტაბილურობის მოპოვებას და თავის დაცვას სისტემური გავლენებისგან. ცივი ომის გლობალური აქტორი დასავლეთი, კულტურულად და გეოგრაფიულად შეზღუდულ სივრცედ იქცა (Buzan & Wæver, 2003).

ბუზანი არ იზიარებს არც აშშ-სა და ჩინეთს შორის ანტაგონისტური ბიპოლარიზმის არსებობას, არც ნეორეალიზმის მულტიპოლარობის ლოგიკას. მისი აზრით, მიმდინარე პროცესების ანალიზისთვის მნიშვნელოვანია მივმართოთ ისტორიულ ანალოგს. მე-19 საუკუნე მივიწყებულია და აკადემიურ კვლევებში მხოლოდ ძალთა ბალანსზე მსჯელობისას იხსენიებენ. ბუზანისთვის მე-19 საუკუნე ტრანსფორმაციების და საერთაშორისო სოციოლოგიის შესასწავლად ყველაზე მსუყე მასალაა. (Schouten, 2009).

რეგიონალიზმის კიდევ ერთი საინტერესო მკვლევარია დევიდ ქერი, რომელმაც ჯერ კიდევ 1994 წელს სადისერტაციო ნაშრომი მიუძღვნა ჩინეთისა და რუსეთის როლს საერთაშორისო წესრიგის

ტრანსფორმაციაში (Kerr, 1994). თუ ბუზანისთვის რეგიონები უსაფრთხოების კომპლექსებია, სადაც ადგილობრივი ძალები ავითარებენ რეგიონულ წესრიგებს და ქმნიან მსოფლიო წესრიგის ქვესისტემებს, დევიდ ქერისთვის მსოფლიო წესრიგი გაერთიანებულია მრავალი ცენტრის გარშემო, სადაც რეგიონები წარმოადგენს ძალაუფლების კონცერტის („concert“) სივრცეებს. ქერი ამ ტერმინით მოიაზრებს რეგიონის დონეზე გავლენიან სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობისა და კონკურენციის ბალანსს, რაც არ ატარებს ღია კონფლიქტის ხასიათს და უზრუნველყოფს სტაბილურობას (Kerr, 2005).

შეჯამების სახით შესაძლებელია ითქვას, რომ მე-20 ს.-ის 60-70-იანი წლებიდან დასავლური აკადემიური ნაშრომები ფართოდ განიხილავდა საერთაშორისო სისტემის ძალის ტრანზიციაზე დაფუძნებულ ტრანსფორმაციას, ხოლო ცივი ომის მიწურულს და მის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი გახდა ძალის დიფუზიაზე დაფუძნებული არგუმენტები. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ ამერიკელი პოლიტიკური ლიდერების გამოსვლებსა თუ ოფიციალურ დოკუმენტებში მულტილატერალიზმსა და მისი გადრმავეების აუცილებლობაზე კეთდება აქცენტი, ხოლო მულტიპოლარიზმი განხილულია მულტილატერალიზმის კონკურენტ იდეად. მაგალითად, 1990-იან წლებში მადლენ ოლბრაიტმა შექმნა ტერმინი „ქმედითი მულტილატერალიზმი“ („Assertive multilateralism“) (Ruggie, 1994.) 2003 წელს აშშ-ის პრეზიდენტი ბუში და გაერთიანებული სამეფოს პრემიერი ბლერი მულტილატერალიზმს განიხილავს უკეთესი მსოფლიოს მშენებლობის საფუძვლად (Bush & Blair, 2003). 2023 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის 78-ე სესიაზე პრეზიდენტი ბაიდენი კვლავ მულტილატერალიზმზე აკეთებს აქცენტს (Biden, 2023).

მიუხედავად იმისა, რომ მულტიპოლარიზმი ჩამოყალიბდა დასავლურ კონცეფციად ცივი ომის პერიოდში, ცივი ომის დასრულების შემდეგ მულტიპოლარიზმის იდეამ განვითარება ჰპოვა არადასავლურ საზოგადოებებში (რუსეთი, ჩინეთი, სამხრეთ ამერიკა...). ყურადღება გვინდა შევაჩეროთ რუსეთის პოლიტიკურ და აკადემიურ ხედვებზე მულტიპოლარიზმის შესახებ.

რუსი ავტორები მულტიპოლარიზმის იდეის ჩამოყალიბების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ 1997 წლის 20 მაისს პრეზიდენტ ელცინის მიერ ხელმოწერილ რუსეთ-ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულებას და პრიმაკოვის მიერ წარმოებულ დიპლომატიას.

რუსეთ-ჩინეთის ხელშეკრულება იწყება სიტყვებით: „ჩვენთვის პატივია წარმოგიდგინოთ რუსეთ-ჩინეთის ერთობლივი დეკლარაციის ტექსტი

მრავალპოლარული მსოფლიოსა და ახალი საერთაშორისო წესრიგის დამკვიდრების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა მოსკოვში 1997 წლის 23 აპრილს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელმწიფო ვიზიტის დროს რუსეთის ფედერაციაში“ (United Nations, 1997).

პრემიერმა პრიმაკოვმა გარდა თეორიული ხედვების შემუშავებისა (ე.წ. პრიმაკოვის დოქტრინა, რომელიც საერთაშორისო სისტემაში სხვადასხვა პოლიტიკური ცენტრების გავლენის ზრდას მოიაზრებს) გადადგა რეალური ნაბიჯები მულტიპოლარული მსოფლიოს ჩამოყალიბებისთვის. 1998 წლის 23 დეკემბერს ინდოეთში, დელიში გამართული ვიზიტის დროს პრიმაკოვმა გააჟღერა რუსეთს, ინდოეთსა და ჩინეთს შორის სტრატეგიული ურთიერთობის გეგმა (Taply, 1998).

მულტიპოლარული მსოფლიოს ჩამოყალიბება, როგორც რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის მიზანი, განსაკუთრებით გამოიკვეთა ვლადიმერ პუტინის მმართველობის პერიოდში. 2007 წელს მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე ცნობილი გამოსვლის დროს ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა, რომ მიუღებელია უნიპოლარული მსოფლიო, აქცენტი გააკეთა მულტიპოლარიზმის უპირატესობასა და მისი ჩამოყალიბების აუცილებლობაზე. (President of Russia, 2007).

2004 წელს რუსეთის ფედერაციაში დაარსდა ვალდაის საერთაშორისო სადისკუსიო კლუბი. შეხვედრები იმართება ყოველწლიურად (სხვადასხვა ადგილას და უმეტესად ქ. სოჭში), რომელსაც ესწრებიან სახელმწიფოს პოლიტიკური ლიდერები, ექსპერტები, ჟურნალისტები, უცხოელი სტუმრები. კლუბის შეხვედრებში რეგულარულად მონაწილეობს თავად ვლადიმერ პუტინი. ვალდაის კლუბი ხშირად განიხილება როგორც ერთ-ერთი მთავარი პლატფორმა, სადაც ჟღერდება რუსეთის საგარეო პოლიტიკური ხედვები. ვალდაის კლუბში წლების მანძილზე განიხილებოდა საერთაშორისო წესრიგის ცვლილების საკითხი და შეხვედრების სათაურებში ხშირად გამოტანილია ტერმინი „მულტიპოლარობა“. მაგალითად, 2016 წლის სოჭის შეხვედრის დროს ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო წესები შეესაბამება აშშ-ის ეროვნულ ინტერესებს და რუსეთი აპირებს წვლილი შეიტანოს ახალი, უფრო სამართლიანი და ბალანსირებული საერთაშორისო წესრიგის შექმნაში. (President of Russia, 2016). 2022 წლის ვალდაის კლუბის შეხვედრაზე განიხილებოდა პოსტ-დასავლური მსოფლიო წესრიგი, ხოლო 2023-2024 წლებში ალტერნატიული ცენტრების შექმნის აუცილებლობა. (Valdai Discussion Club, n.d.). 2024 წლის პრეზიდენტ პუტინის გამოსვლის მიხედვით, მულტიპოლარული მსოფლიო უკვე რეალობაა (Voice Media Global, 2024). 2025 წლის ვალდაის კლუბის სოჭის

შეხვედრის ანონსის მიხედვით, შეხვედრის სათაურია „პოლიცენტრული მსოფლიო: გამოყენების ინსტრუქცია“ (Valdai Discussion Club, 2025).

მულტიპოლარიზმის იდეა ასახულია რუსეთის ფედერაციის ძირითად დოკუმენტებშიც, მაგალითად 2023 წლის რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში (International Affairs, 2023; Russian Federation, 2023).

რუსული მულტიპოლარიზმის იდეის ფილოსოფიური საფუძვლების ჩამოყალიბება დაკავშირებულია რუსი პროფესორისა და იდეოლოგის ალექსანდრე დუგინის სახელთან. ის წლების მანძილზე ამუშავებდა მულტიპოლარიზმის იდეას და ახდენდა იდეის პოპულარიზაციას სხვადასხვა სტატიებსა და ინტერვიუებში. მაგალითად, 2014 წლის ინტერვიუს მიხედვით, დუგინი არ ეთანხმება რეალიზმის ძირითად იდეას, რომლის მიხედვით, საერთაშორისო სისტემის მთავარი აქტორები სახელმწიფოებია. მისი აზრით, საერთაშორისო სისტემის მთავარი აქტორები ცივილიზაციებია, რომლებიც შექმნიან ახალ საზღვრებს და მულტიპოლარულ მსოფლიოს. ცივილიზაციებს შორის ურთიერთობა დაეფუძნება რეალიზმის ლოგიკას, ცივილიზაციის შიგნით კი ლიბერალიზმის წესები იმოქმედებს კულტურების დაახლოებისა და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების შესაქმნელად. დუგინის მიხედვით, მისი მულტიპოლარიზმის თეორია ეფუძნება მისივე მეოთხე პოლიტიკურ თეორიას (4PT), რომელიც ახდენს მოდერნულობის დეკონსტრუქციას. მისივე აზრით, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ყველა სკოლა დაფუძნებულია მოდერნულობის ლოგიკასა და ვესტფალიური ერი-სახელმწიფოების სისტემაზე, რაც მხოლოდ დასავლური ცივილიზაციის რეალობას შეესაბამება, რადგან ევრაზიული ცივილიზაცია პრე-მოდერნულია. შესაბამისად, საჭირო გახდა პოლიტიკის ალტერნატიული თეორიის შემუშავება. აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ დუგინის განმარტებით, მისი თეორია არის არა მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობების ალტერნატიული ხედვა, არამედ თავად საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც დარგის, ალტერნატივა (Millerman, 2014). აღსანიშნავია, რომ დუგინის მულტიპოლარიზმის თეორია 2021 წელს გამოიცა მონოგრაფიის სახით, რომლის სათაურია „მულტიპოლარული მსოფლიოს თეორია“ (Dugin, 2021).

რუსი პოლიტიკოსებისა და კრემლის იდეოლოგების უნიფიცირებული პოლიტიკური ხედვებისგან განსხვავებით, რუსი ავტორების აკადემიური სტატიები მულტიპოლარიზმის სხვადასხვა ასპექტს განიხილავს.

სტატიის „მსოფლიო წესრიგი წარსულში, აწმყოსა და მომავალში“ მიხედვით, უდავოა აშშ ჰეგემონიის დასასრული და მულტიპოლარული

მსოფლიოს ჩამოყალიბება, სადაც არ იქნება ჰეგემონი, არამედ მრავალი ცენტრი. საერთაშორისო წესრიგის ცვლილებას განახორციელებენ ახალი კოალიციები (მათ შორის, მრავალგზის დასახელებულია BRICS). ტრანზიციის პერიოდი გაგრძელდება დაახლოებით ორი ათეული წელი და იქნება კონფლიქტებით სავსე, რადგან აშშ-ის პოლიტიკურ ელიტებს არ ჰყოფნით რაციონალიზმი ითანამშრომლონ კონკურენტებთან. ახლო აღმოსავლეთის და უკრაინის კონფლიქტები დასახელებულია იმ ტიპის კრიზისებად, რაც ცხადყოფს საერთაშორისო წესრიგის ცვლილების აუცილებლობას. წესრიგის ცვლილების შედეგებად დასახელებულია ძალთა დაბალანსება, სუპრანაციონალური მართვის ახალი მოდელებისა და ახალი იდეოლოგიების შექმნა (Grinin, Ilyin, & Andreev, 2016).

ანდრეი კორტუნოვის მიხედვით, რომელიც მულტიპოლარიზმის იდეას უჭერს მხარს, ახალი წესრიგის შექმნა ისტორიულად არასდროს ყოფილა ევოლუციური და გამარჯვებულები ქმნიდნენ ახალ წესებს. პროცესის ევოლუციურად განვითარება ხანგრძლივ ქაოსს გამოიწვევს (Kortunov, 2018).

დეგტერევი და ტიმაშევი მულტიპოლარიზმს ალიანსების ფორმირებასთან აკავშირებს, რაც მოწინააღმდეგეთა მეტოქეობის გარდა მოკავშირეთა ურთიერთდამოკიდებულებას გამოიწვევს (Degterev & Timashev, 2019). დეგტერევი კიდევ ერთ სტატიაში აღნიშნავს რუსეთის ფედერაციის წამყვანი როლის შესახებ საერთაშორისო პოლიტიკაში, განსაკუთრებით გლობალურ უსაფრთხოებაში. ავტორი აკრიტიკებს აშშ-ს, რომლისთვისაც მულტიპოლარობა სტრატეგიული გამოწვევაა და ამიტომაც ცდილობს გაააქტიუროს ავსტრალიის პოლიტიკური როლი აშშ-სა და ჩინეთს შორის ბალანსის შესაქმნელად (Degterev, 2019). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის ყირიმის ოკუპაციის შემდეგ ავსტრალიელი ავტორების სტატიებში მართლაც გამოჩნდა მსჯელობა საერთაშორისო წესრიგის შესახებ. მაგალითად, პოლ დიბი რუსეთის პოლიტიკას საერთაშორისო წესრიგის საფრთხედ განიხილავს (Dibb, 2016).

ასევე დეგტერევის მიხედვით, გამოიკვეთა ახალი ბიპოლარობა აშშ-ჩინეთის მეტოქეობის სახით. ჩინეთი ცდილობს თავად გახდეს ახალი ჰეგემონი და შესაბამისად, ნაკლებად არის დაინტერესებული არსებული წესრიგის რევიზიით. საინტერესო ფაქტია, რომ ავტორი ჩინეთს უწოდებს ღია ეკონომიკის მთავარ მცველს და აკრიტიკებს სი ძინპინის გამოსვლას დავოსის 2017 წლის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე. ასევე აღნიშნავს, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ ჩინეთის ლიდერები ნაკლებად ახსენებენ მულტიპოლარიზმს და

სულ უფრო მეტად თანამშრომლობენ ნატოს წევრ სახელმწიფოებთან (Degterev, 2019).

ბოგოტუროვის და ლებედევას მიხედვით, საერთაშორისო უსაფრთხოების მდგომარეობის გაუარესება მიუთითებს კრიზისზე იმ წესრიგში, რომელიც შექმნილია აშშ-ის ჰეგემონიის პირობებში (Bogaturov & Lebedeva, 2023).

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გავამახვილოთ სტატიების კრებულზე მულტიპოლარობის შესახებ, რომელიც პიტერ შულცეს რედაქტორობით გამოიცა 2018 წელს. კრებული გამოცემულია ბერლინის ცივილიზაციათა დიალოგის კვლევითი ინსტიტუტის მხარდაჭერით და ორიენტირებულია არადასავლური პოლიტიკური აზრის აკადემიურ სივრცეში წარმოჩენისთვის. კრებულის თავებსა და ცალკეული სტატიების სათაურებში ფიგურირებს ისეთი საკვანძო სიტყვები, როგორცაა ახალი მსოფლიო წესრიგი, ძალის დიფუზია, სისტემათა შეჯახება, ევრაზიანიზმი, პოსტ-დასავლური მსოფლიო, მულტიპოლარიზმი, აშშ-ის ჰეგემონიის დადმასვლა, აღმავალი ძალების დაპირისპირება ლიბერალურ წესრიგთან, უსაფრთხოების გამოწვევები, რუსეთის ხედვები და სხვ. კრებულის ზოგიერთი ავტორი (ბრიტანელი პოლიტოლოგი და კენტის უნივერსიტეტის პროფესორ ემერიტუსი რიჩარდ საკვა, რუსეთის უმაღლესი ეკონომიკის სკოლის პროფესორი დიმიტრი სუსლოვი, რუსი პოლიტოლოგი და საგარეო და უსაფრთხოების სტრატეგიის სპეციალისტი სერგეი კარაგანოვი) აქტიურად არის ჩართული ვალდაის კლუბის შეხვედრებშიც.

კრებულის ავტორები საინტერესო აქცენტებს აკეთებენ სხვადასხვა საკითხსა და მულტიპოლარიზმის გამოწვევებზე.

რიჩარდ საკვას (Richard Sakwa) აზრით, საერთაშორისო სისტემა გაორებულია: ერთის მხრივ არც თუ ეფექტური საერთაშორისო ინსტიტუტები (მაგ. გაერო) სისტემის სათავეში, მეორეს მხრივ კონკურენტი წესრიგები (ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი აშშ-ის ხელმძღვანელობით და ანტიჰეგემონური ალიანსები არადასავლურ სამყაროში), რომლებიც სხვადასხვა ასპექტით დამოკიდებული არიან ამ ინსტიტუტებზე. ავტორი აქცენტს აკეთებს მოქმედების განსხვავებულ მეთოდებზეც, აშშ-ის ხისტ ძალაზე ჩინეთის რბილი ძალის საპირისპიროდ.

პეკინის უნივერსიტეტის პროფესორის ჯია ცინგუოს (Jia Qingguo) მიხედვით, თუ აშშ აღარ მოინდომებს ლიდერის როლის შესრულებას საერთაშორისო სისტემაში, ამას მოყვება ნეგატიური შედეგები, მათ შორის, სავაჭრო ომები. ავტორის აზრით, ტრამპმა შეცვალა თამაშის

წესები და ვაშინგტონი თვლის, რომ საკუთარი ინტერესების დასაცავად საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნება აღარ სჭირდება.

რუსი პოლიტოლოგის, საგარეო და უსაფრთხოების სტრატეგიის სპეციალისტის სერგეი კარაგანოვისა და დიმიტრი სუსლოვის მიხედვით, აშშ სუსტდება იდეოლოგიურად, გლობალური უსაფრთხოების მთავარი გარანტორი კი რუსეთი გახდა, რასაც ადასტურებს ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის მაგალითები. ავტორების აზრით, რუსეთი მოახდენს ამ სტატუსის ფორმალიზებას და ახალი სტატუსის საერთაშორისო სამართალთან შესაბამისობას. ავტორები ასევე საუბრობენ ევრაზიისა და ინდო-წყნარი ოკეანის გაფართოებული გეოპოლიტიკური რეგიონის შექმნაზე. საინტერესო პასაჟია, რომ ავტორების აზრით, რუსეთი მხოლოდ ამ პროცესების დასრულების (ფორმალიზების) შემდეგ გააუმჯობესებს ურთიერთობას ევროპის ქვეყნებთან. გაფართოებულ გეოპოლიტიკურ ერთეულებზე (გაფართოებული ევროპა, გაფართოებული ევრაზია) საუბრობს ასევე რუსი დიპლომატი და ანალიტიკოსი, ალექსეი გრომიკო. მისი აზრით, რუსეთის მიზანია გახდეს გლობალური ძალა სამი ოკეანის სივრცეში, რის მისაღწევადაც აუცილებელია ევროპა გაფართოებული მნიშვნელობით გახდეს სანდო და სტაბილური. გრომიკო ასევე ყურადღებას ამახვილებს ევროკავშირის უუნარობაზე განახორციელოს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა.

იტალიელი პოლიტოლოგი რაფაელ მარკეტი (Raffaele Marchetti) საუბრობს მსოფლიო წესრიგისა და ძალთა ბალანსის სამ ვერსიაზე: დასავლეთი დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ; ევრაზიის ინტეგრაცია და აშშ-ის იზოლაცია; გაფართოებული დასავლეთი ჩინეთის წინააღმდეგ. ასევე ავტორი მიუთითებს ბალანსირების დინამიკაზე აშშ-ჩინეთს შორის, რაც გამოხატულია ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებით.

გერმანელ ექსპერტს ვინფრიდ ფაიტს (Winfried Veit) დისკუსიაში შემოაქვს აფრიკის სახელმწიფოების მნიშვნელობა საერთაშორისო წესრიგის ტრანსფორმაციის პროცესში. მისი აზრით, აფრიკის კონტინენტი (როგორც მზარდი და ასევე ჩინეთის გავლენის ქვეშ მყოფი სივრცე) გახდება ევროპის დესტაბილიზაციის მთავარი წყარო. ევროპის სისუსტეზე საუბრობს ასევე ავსტრიელი დიპლომატი ვალტერ შვიმერი (Walter Schwimmer). მისი აზრით, ევროკავშირს არ გააჩნია მომავლის სტრატეგია მრავალი გამოწვევის პირობებში. მისი აზრით, ევროპა ვერ იარსებებს რუსეთის გარეშე, ისევე როგორც რუსეთი ევროპის გარეშე და ეს უნდა გააცნობიერონ ევროკავშირის სახელმწიფოებმა.

გერმანიაში მოღვაწე იტალიელი ექსპერტი ჯაკოპო პეპე (Jacopo Pepe) ქმნის ტერმინს „მერყევი ჰეგემონური მულტიპოლარობა“ (fluid hegemonic multipolarity). მისი განმარტებით, ეს არის არასტაბილური და საკუთარი თავის მოიძევე სისტემა, რომელიც არც დასავლურ წესებს ექვემდებარება და არც ახალი ჰეგემონის ძალაუფლებას.

პიტერ შულცეს შეჯამებით, ძალის დიფუზიამ დაასუსტა ვაშინგტონის ლიდერობა და ისეთი ინსტიტუტები, როგორცაა გაერო; არაეფექტური გახდა საერთაშორისო ინსტიტუტები და წესები. საერთაშორისო წესრიგის ტრანსფორმაციის პერიოდი იქნება კონფლიქტებით სავსე (განსხვავებული ცივი ომის კონფლიქტებისგან). ასეთ ვითარებაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების შექმნა საერთაშორისო აქტორებისთვის მეტად რთული და რისკიანია, დიდი ძალები საკუთარ მიზნებს მხოლოდ რბილი ძალის გამოყენებით და ძალისმიერი ჩარევების შეზღუდვით მიაღწევენ. მისი აზრით, როგორც აშშ-ის ეროვნული დაზვერვის საბჭოს (NIC) ანგარიშებში, ასევე რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭოს (RIAC) კვლევებში და ევროკავშირის დოკუმენტებში მოცემული პოლიტიკური რეკომენდაციები წარმოადგენს შესაბამისი ეროვნული და რეგიონული ადმინისტრაციების ინტერესებს და არა ვალიდურ პროგნოზებს მომავალი რამდენიმე ათწლეულისთვის (Schulze, 2018, pp. 7–13).

შეჯამების სახით შესაძლებელია ითქვას, რომ მიუხედავად იდეოლოგიური უნიფიცირების დიდი მცდელობისა, რუსულ პოლიტიკურ თუ აკადემიურ მსჯელობაში იკვეთება ურთიერთდაპირისპირებული არგუმენტები. რუსული იდეოლოგია მოცემულობად მიიჩნევს უნიპოლარიზმს აშშ-ის დომინაციით, და ასევე საუბრობს მულტიპოლარიზმზე, როგორც არსებულ რეალობაზე; ჩინეთის ლიდერები (მაო ძე დუნი, დენ სიაოპინი, სი ძინპინი) დასახელებულია მულტიპოლარიზმის იდეის თეორეტიკოსებად, და ასევე იკვეთება უკმაყოფილება ჩინეთის მიმართ, რომელსაც არ სურს ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის შეცვლა...

არაერთგვაროვანია ხედვა პოლუსების შესახებაც. დუგინისთვის პოლუსები ცივილიზაციებია შემოსაზღვრული გეოგრაფიული საზღვრებით, თუმცა ბუნდოვანია, პრე-მოდერნული პოლუსი როგორ შეძლებს ფუნქციონირებას პოსტმოდერნულ სამყაროში. სხვა შემთხვევაში პოლუსებად აღქმულია ალიანსები (მაგ. BRICS) ან გაფართოებული გეოპოლიტიკური სივრცეები, თუმცა პრობლემად სახელდება ამ ალიანსების და სივრცეების მდგრადობა და ერთმანეთთან თანამშრომლობის მექანიზმები. ზოგიერთ შემთხვევაში საერთაშორისო სისტემის რეგიონულ/გეოპოლიტიკურ პოლუსებად დაშლის ნაცვლად

სისტემური ტრანსფორმაცია განხილულია როგორც თავად სისტემის დიფუზია (ბრემერის მსგავსი ლოგიკა იმ განსხვავებით, რომ რუსეთი სახელდება გლობალურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ აქტორად).

მიუხედავად მრავალი სხვაობისა და ხშირ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტაციისა, დასავლურ და რუსულ ხედვებში შესაძლებელია საერთო მახასიათებლების გამოკვეთაც. ორივე შემთხვევაში საერთაშორისო სისტემა განიცდის ტრანსფორმაციას, რაც დაკავშირებულია არასტაბილურობის ზრდასთან და უსაფრთხოების გამოწვევებთან. ასევე, ხშირად იხსენიება „წესრიგები“ მრავლობითი და წესრიგის დიფუზიის სხვადასხვა მახასიათებლები. ორივე მხარე თანხმდება, რომ ჰეგემონიაზე დაფუძნებული წესრიგი აღარ მუშაობს, თუმცა გაუგებარია, რას დაეფუძნება ახალი წესრიგი და რას ნიშნავს პოლუსი გლობალიზებულ სამყაროში, რადგან ძალის დიფუზიაზე დაფუძნებულმა ტრანსფორმაციამ გამოიწვია არა არსებული საერთაშორისო სისტემის ჩანაცვლება, არამედ ჰიბრიდიზაცია.

სტრატეგიული ავტონომია პრაქტიკაში

ცივი ომის დასრულების შემდეგ ევროკავშირი ცალკე პოლუსად ჩამოყალიბდა, თუმცა არ შეცვლილა აშშ-ის ჰეგემონიაზე დაფუძნებული საერთაშორისო სისტემა. სტრატეგიული ავტონომიის იდეის განვითარება ევროპულ დოკუმენტებსა და ევროპის ქვეყნებში კიდევ ერთი სიმპტომია საერთაშორისო სისტემის ტრანსფორმაციის.

ტერმინი „ევროკავშირის სტრატეგიული ავტონომია“ პირველად 2013 წელს გამოჩნდა ევროპის საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტში (European Council, 2013). ტერმინის ფართოდ გამოყენება დამკვიდრდა 2016 წლის დოკუმენტის „გაზიარებული ხედვა, ერთიანი მოქმედება: ძლიერი ევროპა. გლობალური სტრატეგია ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისთვის“ გამოქვეყნების შემდეგ. დოკუმენტის მიხედვით, გლობალური სტრატეგიის საფუძველია კოლექტიური პასუხისმგებლობა და ევროკავშირის როლის ზრდა საერთაშორისო პოლიტიკაში. დოკუმენტის შესავალ ნაწილში ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი ფედერიკა მოგერინი ხაზს უსვამს ევროკავშირის სტრატეგიული ავტონომიის მიზანს, ევროკავშირის ინტერესებს რეგიონსა და მთელს მსოფლიოში. ასევე, ინტერესების სფეროს მრავალფეროვნებას და რბილი და ხისტი ძალების ერთობლიობით მოქმედების აუცილებლობას (European Union, 2016).

2021 წლის თებერვალში ევროპის საბჭოს ანალიზისა და კვლევის ჯგუფმა (ART) გამოაქვეყნა დოკუმენტი სახელწოდებით „სტრატეგიული ავტონომია, სტრატეგიული არჩევანები“, რომელიც იმ ეტაპზე ევროკავშირის სტრატეგიულ ავტონომიაზე მიმდინარე დისკუსიას აჯამებდა. დოკუმენტის მიხედვით, ევროკავშირის სტრატეგიული ავტონომია არ არის ნულოვანი ჯამის თამაში, არამედ შუალედური მდგომარეობა სრულ ავტონომიასა და სრულ დამოკიდებულებას შორის, სადაც შედეგები განსხვავებული იქნება სხვადასხვა პოლიტიკურ სფეროში. ასევე აღნიშნულია, რომ ევროკავშირი ამ პროცესში არ არის მარტო და საერთაშორისო პოლიტიკის სხვა აქტორებიც სტრატეგიული ავტონომიის განსაზღვრის პროცესში არიან (European Union General Secretariat, 2021). დოკუმენტი აყალიბებს ძირითად პრინციპებს: ერთიანი ხედვების შემუშავება სტრატეგიული ავტონომიის შესახებ; უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე დაბალანსებული გადაწყვეტილებების მიღება სტრატეგიული ავტონომიის ხარჯებისა და სარგებლის გათვალისწინებით. დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული ავტონომია არ გულისხმობს იზოლაციონიზმს ან უნილატერალიზმს, არ აკნინებს ტრანსატლანტიკური ალიანსის მნიშვნელობას, არ ახდენს ორიენტირებას მხოლოდ უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროებზე. სტრატეგიული ავტონომიის შექმნა მიზნების მიღწევის საშუალებაა, მიზნებში კი ეკონომიკური მდგრადობისა და უსაფრთხოების გარდა მოიაზრება ევროპული ღირებულებების გაძლიერება და გავრცელება (European Union General Secretariat, 2021, pp. 2–3). დოკუმენტში ასევე იხსენიება მულტიპოლარიზმის მზარდი ტენდენდენციით შექმნილი გამოწვევები. კერძოდ, ტრამპის ადმინისტრაციის არათანამშრომლობითი დამოკიდებულება ევროპისა და ნატოს მიმართ, პეკინის ამბიციის გახადოს სხვა სახელმწიფოები ჩინეთზე ეკონომიკურად დამოკიდებული, გლობალიზაციის დაღმასვლა (რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დიდი სახელმწიფოების იზოლაციონიზმის ზრდა) ქმნის უსაფრთხოების დილემის წარმოშობის რისკებს (European Union General Secretariat, 2021, p. 5).

იმავე წელს ევროკომისიამ გამოაქვეყნა კვლევითი ორგანიზაციის JRC მოცულობითი დოკუმენტი „ევროკავშირის სტრატეგიული ავტონომიის ფორმირება და უზრუნველყოფა 2040 წლამდე და მის შემდეგ“. დოკუმენტში ძირითად გამოწვევებად დასახელებულია გეოპოლიტიკური მეტოქეობა, ტექნოლოგიური დამოკიდებულების ზრდა, ეკონომიკური არასტაბილურობა და სხვ. დოკუმენტში ასევე მოცემულია მომავლის პროგნოზები და სავარაუდო სცენარები (Cagnin, Muench, Scapolo, Stoermer, & Vesnic Alujevic, 2021). უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამ ეჭვქვეშ დააყენა დოკუმენტის

ვალიდურობა და კარგად აჩვენა, როგორ სწრაფად შეიძლება განვითარდეს მოვლენები.

ზოგადად, 2020-2021 წწ.-ში განსაკუთრებით აქტიური იყო დისკუსია ევროკავშირის სტრატეგიული ავტონომიის შესახებ. გარდა აღნიშნული და სხვა დოკუმენტებისა, ევროკავშირის მაღალჩინოსნები აქტიურად მსჯელობდნენ საკითხზე ინტერვიუებსა თუ საჯარო გამოსვლებში (Borrell, 2020; Geopolitical Studies Group, 2021).

2022 წელი გამოირჩევა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სტრატეგიული დოკუმენტების გამოქვეყნებით. 2022 წლიდან ევროპის პარლამენტის კვლევითმა ორგანიზაციამ EPRS (EPT Think Tank, n.d.) დაიწყო ანალიტიკური სერია „სტრატეგიული ავტონომია 360“, რომელიც შედგება მრავლობითი სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტისგან. პროექტის მიზანია გააანალიზოს და შეაფასოს, რამდენად შეუძლია ევროკავშირს დამოუკიდებლად იმოქმედოს სხვადასხვა სტრატეგიულ სფეროში, მათ შორის უსაფრთხოებაში, ეკონომიკაში, ტექნოლოგიებში, ენერგეტიკაში და ინფრასტრუქტურაში. „360“ მიდგომა გულისხმობს ყოვლისმომცველ ანალიზს (უსაფრთხოება, ეკონომიკა, ენერგორესურსები, ციფრული სუვერენიტეტი, ტექნოლოგიები...). სერია ფოკუსირებულია ისეთ გრძელვადიან ტენდენციებზეც, როგორცაა კლიმატური ცვლილებები, გეოპოლიტიკური არასტაბილურობა, ახალი ტექნოლოგიების გავლენა პოლიტიკაზე...

ევროკავშირის სტრატეგიული ავტონომიის მონიტორი(გამოქვეყნდა 2022 წლის ივლისში) პირველი სტრატეგიული დოკუმენტია რომელიც მიმოიხილავს ევროკავშირის სტრატეგიული ავტონომიის იდეის განვითარებას და თავისებურებებს 2013-2022 წლებში (EU Strategic Autonomy Monitor, 2022). დოკუმენტის მიხედვით, ევროკავშირის სტრატეგიული ავტონომიის იდეამ, რომელსაც სხვადასხვა ტერმინებით მოიხსენიებენ ('open strategic autonomy', 'strategic sovereignty', 'capacity to act', 'resilience') განვითარების სხვადასხვა ეტაპი გაიარა. 2013-2016 წლებში იდეა ძირითადად უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებზე აკეთებდა აქცენტს. ცვლილებებმა საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტში (ბრექსითი, ჩინეთის მზარდი ამბიციები, ტრამპის გაპრეზიდენტება აშშ-ში...) ხელი შეუწყო იდეის ტრანსფორმაციას. 2017-2019 წწ.-ში იდეამ უფრო ფართო, გეოპოლიტიკური განზომილება შეიძინა. 2020 წლის კოვიდ-პანდემიამ შექმნა ახალი ტიპის პრობლემები (მათ შორის, გამოააშკარავა უცხოური მიწოდების ჯაჭვებზე ეკონომიკური დამოკიდებულების სისუსტეები). შედეგად, სტრატეგიული ავტონომიის იდეა კიდევ უფრო გაფართოვდა და

ფაქტიურად, ევროკავშირის საქმიანობის ყველა სფერო მოიცავს ევროკავშირის ღირებულებების ჩათვლით. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ იდეას სიფრთხილით ეკიდება ევროკავშირის ზოგიერთი წევრი სახელმწიფო. დოკუმენტი ასევე აზუსტებს, რომ მეტი ავტონომია თავდაცვის სფეროში არ გულისხმობს ნაკლებ თანამშრომლობას წევრ სახელმწიფოებს შორის და კავშირების შესუსტებას აშშ-სთან ნატოს ფორმატში. ავტონომია ნატოს საწინააღმდეგო ქმედებას კი არა, ნატოში ევროკავშირის გაძლიერებას გულისხმობს.

2022 წელს გამოქვეყნდა ანალიტიკური სერიის კიდევ ერთი, მომავალი საფრთხეებისა და რისკების მონიტორინგის დოკუმენტი, სადაც განსაკუთრებული ადგილი ეთმობა რუსეთის სამხედრო ექსპანსიონიზმის საკითხს. გარდა რუსეთ-უკრაინის ომისა, აქცენტი კეთდება ჰიბრიდული ტაქტიკების მზარდ გამოყენებაზე, სირიისა და ლიბიის კონფლიქტებზე, ევროკავშირის როლის დასუსტებაზე, საერთაშორისო პოლიტიკაში გეოპოლიტიკის დაბრუნებაზე, რბილი ძალის მექანიზმების ეფექტურობის შენარჩუნების პარალელურად ხისტი ძალის მექანიზმების შემუშავებაზე და ნატოში ევროპული ბლოკის გაძლიერებაზე (EPRS, 2022).

ევროკავშირის პოლიტიკური ავტონომია მნიშვნელოვანი თემაა 2022 წლის ევროპის საბჭოს ვერსალის დეკლარაციაში, სადაც ძირითადი აქცენტები კეთდება უკრაინის მხარდაჭერასა და რუსეთის აგრესიის შეჩერებაზე, უსაფრთხოებისა და თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებაზე, ენერგეტიკული დამოკიდებულების შემცირებაზე, ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებასა და სტრატეგიული დამოკიდებულებების შემცირებაზე (Consilium, 2022).

2022 წელს მომზადდა ევროპის კავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის სტრატეგიული კომპასი ჯოზეფ ბორელის წინასიტყვაობით, სადაც საუბარია ევროპის გეოპოლიტიკურ გამოღვიძებაზე, ახალი ტიპის ჰიბრიდულ საფრთხეებზე. ბორელის განმარტებით, ევროკავშირისთვის კვლავ პრიორიტეტულია დიალოგი, დიპლომატია, მულტილატერალიზმი, მაგრამ ევროკავშირმა ასევე უნდა ისწავლოს ძალის ენაზე საუბარი, რადგან ყველა ჩამოთვლილი ეფექტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძალა უმაგრებს ზურგს. ურთიერთდამოკიდებულება მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება, მაგრამ იძენს კონფლიქტურ ხასიათს, რბილი ძალა იარაღად იქცა და საერთაშორისო სისტემაში ხდება ძალოვანი პოლიტიკის დაბრუნება (European Union, 2022, pp. 4–7). დოკუმენტის პირველი თავი ეხება გლობალურ გამოწვევებს. ქვესათაურებში მოხსენიებულია ისეთი

საკვანძო სიტყვები, როგორცაა: ძალაზე დაფუძნებული პოლიტიკა, მულტიპოლარული მსოფლიო, ტრანსნაციონალური საფრთხეები, ევროკავშირის სტრატეგიული გამოწვევები. ტექსტში მრავალგზის იხსენიება ჰიბრიდული საფრთხეების სხვადასხვა კომპონენტი, წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნების აუცილებლობა, ევროკავშირის გააქტიურება ინტეგრირებული მიდგომების შესამუშავებლად ახალი საფრთხეების საპირწონედ (European Union, 2022, pp. 17–24). დოკუმენტმა მთავარ მიზნებად განსაზღვრა მოქმედება, დაცვა, ინვესტირება, პარტნიორობა და ევროპის ქვეყნების კოორდინირებული ქმედების აუცილებლობა მიზნების მისაღწევად. სტრატეგიული კომპასის მიზნების მიღწევის პროცესის შეფასებისთვის ყოველწლიურად მზადდება შეფასების დოკუმენტი. 2024 წლის ანგარიშის დასკვნის მიხედვით, შეინიშნება გარკვეული პროგრესი მიზნების მიღწევის პროცესში. ასევე აღნიშნულია, რომ პროცესის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული წევრი სახელმწიფოების მიერ საჭირო რესურსების მოძიებაზე და აუცილებელია ინვესტირება თავდაცვის სფეროში (European Union, 2024).

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს ევროკავშირმა შეიმუშავა უსაფრთხოების ახალი სტრატეგია, რომელიც ზეგავლენას მოახდენს სხვა ყველა არსებულ დოკუმენტზე უახლოეს მომავალში. სტრატეგიაში აქცენტი კვლავ კეთდება ჰიბრიდულ საფრთხეებზე და მათ მიმართ მდგრადობაზე. ევროკავშირი დასახელებულია გლობალურ აქტორად უსაფრთხოების სფეროში (European Commission, 2025).

აღსანიშნავია, რომ გარდა ევროკავშირის მრავლობითი დოკუმენტისა, სტრატეგიული ავტონომიის იდეის პოპულარიზაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონთან, რომელმაც ამ იდეის შესახებ საუბარი ჯერ კიდევ 2017 წლიდან დაიწყო (France 24 English, 2017). მაკრონი ღიად და მკაფიოდ გამოხატავს მოსაზრებას, რომ ევროკავშირმა უნდა შეძლოს მოქმედება (სამხედრო, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ და დიპლომატიურ სფეროებში) აშშ-ზე ან სხვა გლობალურ ძალებზე პირდაპირი დამოკიდებულების გარეშე. მაკრონი ასევე საუბრობს ევროპის პოტენციალზე თავდაცვის კუთხით და მხარს უჭერს საერთო ევროპულ ინიციატივებს თავდაცვის სფეროში (Elysée, 2017).

მაკრონის 2018 წლის გამოსვლების მიხედვით, ევროპა აღარ უნდა იყოს დამოკიდებული სხვა ქვეყანებზე უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში და უსაფრთხოების გამოწვევებს უნდა უპასუხოს სტრატეგიული ავტონომიის იდეით (Elysée, 2018). ასევე, ტრამპის ნატოს საწინააღმდეგო განცხადებების საპასუხოდ, უნდა შემუშავდეს ევროპის

კოლექტიური თავდაცვის გეგმა აშშ-ზე დამოკიდებულების შესამცირებლად (EURACTIV, 2018).

საფრანგეთის პრეზიდენტის ინიციატივების კვალდაკვალ განხორციელდა ცვლილებები საფრანგეთის ეროვნული თავდაცვის სტრატეგიაში. 2017 წლის სტრატეგიისგან განსხვავებით, 2022 წლის სტრატეგიაში გააქტიურდა სტრატეგიული ავტონომიის იდეა, ხოლო 2025 წლის სტრატეგიაში ეს საკითხი ცენტრალურ ადგილს იკავებს. 2025 დოკუმენტი ხაზს უსვამს, რომ სტრატეგიული ავტონომია აღარ არის მხოლოდ იდეა, ის არის აუცილებლობა. დოკუმენტში ევროპის სტრატეგიული ავტონომია განიხილება როგორც სისტემური სტრუქტურა და მოიცავს არა მხოლოდ თავდაცვის საკითხებს, არამედ ტექნოლოგიურ სუვერენიტეტს, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და ეკონომიკური კონტროლის აუცილებლობას. საფრანგეთი ევროპას აღიქვამს როგორც საერთაშორისო მოთამაშეს, რომელიც თავად იღებს გეოპოლიტიკურ პასუხისმგებლობას (Ministry of the Armed Forces, n.d.).

მაკრონის 2025 წლის ხალხისადმი საჯარო მიმართვის მიხედვით, ევროპის მომავალი არ უნდა გადაწყდეს ვაშინგტონში ან მოსკოვში. სხვა სახელმწიფოთა ინტერესები შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში, ამიტომ ევროპის ქვეყნებმა უნდა გაიაზრონ საკუთარი პასუხისმგებლობა. პრეზიდენტის აზრით, ევროპამ თავდაცვის შესაძლებლობები სწრაფად უნდა გააძლიეროს, რაც საჭიროებს საერთო დაფინანსებას და სამხედრო წარმოებას. პრეზიდენტი ასევე ხაზს უსვამს ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ინდუსტრიული და ფინანსური დამოუკიდებლობის აუცილებლობას (Macron, 2025).

პრეზიდენტ მაკრონის ინიციატივებს არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა როგორც აშშ-ში, ასევე ევროკავშირის ქვეყნებში. ამერიკულ მედიაში ევროპის სტრატეგიული ავტონომია ხშირად ნატოს საწინააღმდეგო ქმედებად არის შეფასებული. ევროკავშირის ახალი წევრები აღმოსავლეთ ევროპიდან ტრადიციულად ნატოს გაძლიერების მხარდამჭერები არიან და ნაკლებად ენდობიან საფრანგეთის გაზრდილ როლს ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურაში. განსაკუთრებით საინტერესოა გერმანიის დამოკიდებულება საფრანგეთის ინიციატივებთან დაკავშირებით. გერმანიის ფედერალური თავდაცვის სამინისტროს პრესასთან ურთიერთობების ყოფილი ხელმძღვანელი და შემდგომში ნატოს მრჩეველი დეტლევ პული 2018 წ. შემუშავებულ დოკუმენტში ღიად ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთის ინიციატივებს. მისი მსჯელობისა და არგუმენტების მიხედვით, გერმანიის ინტერესებში არ შედის სტრატეგიული ავტონომიის იდეა. გარდა ამისა, ავტორი მიმოიხილავს ისეთ საკითხებს, როგორცაა ინსტიტუციური

პასუხისმგებლობა, საზოგადოების პოლიტიკურ კულტურაში ახალი ხედვის შესაბამისი ცვლილებების აუცილებლობა, რითაც ავტორი მიანიშნებს იდეის პოპულისტურ ხასიათზე და განხორციელების სირთულეებზე (Puhl, 2018).

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, გერმანიის პოზიციაში შეინიშნება გარკვეული ცვლილებები და უსაფრთხოების საკითხებზე მსჯელობის გააქტიურება (European Liberal Forum & Liberté, 2023).

გერმანიის პოზიცია კიდევ უფრო მკაფიო გახდა გერმანიის ახალი კანცლერის, ფრიდრიხ მერცის განცხადებებში. მერცის აზრით, ევროპამ უნდა გაზარდოს თავდაცვის რესურსები და მეტი პასუხისმგებლობა აიღოს ევროპის უსაფრთხოებაზე, რადგან ამერიკის უსაფრთხოების ქოლგაზე დამოკიდებულება არაპროგნოზირებადი გახდა (Wintour, 2025). მერცის სიტყვით, „აუცილებელია ევროპის უსაფრთხოება ჩვენივე ხელში იყოს“ (Mezha, 2025). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანია ტერმინის „სტრატეგიული ავტონომია“ ნაცვლად იყენებს ტერმინს „სტრატეგიული სუვერენიტეტი“, ხოლო კანცლერი ანგელა მერკელი იყენებდა ტერმინს „ევროპის სუვერენიტეტი.“

როგორც ზემოთ მიმოხილული დოკუმენტები აჩვენებს, სტრატეგიული ავტონომია შუალედური მდგომარეობაა სრულ ავტონომიასა და დამოკიდებულებას შორის. ის არ გულისხმობს უნილატერალიზმს ან იზოლაციონიზმს, არ გამორიცხავს გლობალური ინსტიტუტების ეფექტურობას, ალიანსებს და კავშირებს. კახა გოგოლაშვილის შეფასებით, ევროკავშირის გეოპოლიტიკური ინტერესი დაბრუნდა არა მხოლოდ ინტეგრაციის პროცესში, არამედ ურთიერთობებში არადემოკრატიულ სახელმწიფოებთან (გოგოლაშვილი, 2023).

სტრატეგიული ავტონომია პასუხია ძალაუფლების დიფუზიაზე და აღიქმება ევროპის გადარჩენის ინსტრუმენტად ჰიბრიდულ საერთაშორისო წესრიგში. ევროკავშირის რეგულაციები, როგორცაა ციფრული მომსახურებების აქტი (European Commission, n.d.) და ციფრული ბაზრების აქტი (European Commission, n.d.) წარმოადგენს სტრატეგიული ავტონომიის ტექნოლოგიურ განზომილებას და პასუხს ციფრული წესრიგის ასიმეტრიაზე, სადაც ევროპა სუვერენიტეტს სახელმწიფოთა მიმართ კი არა, არამედ კორპორაციათა მიმართ კარგავს.

ევროპული სტრატეგიული ავტონომია წარმოადგენს იმგვარ მაგალითს, თუ როგორ ცდილობს რეგიონული აქტორი საკუთარი როლის განსაზღვრას ჰიბრიდულ საერთაშორისო წესრიგში სადაც არც ერთ ძალას (მათ შორის ჰეგემონს) არ გააჩნია გლობალური გავლენის სრული სპექტრი. ევროპა ცდილობს გაამლიეროს თავისი სუვერენიტეტი, თუმცა

ძალაუფლების დიფუზიის პირობებში სუვერენიტეტი ხელახლა განიმარტება როგორც მოქნილობა და არა იზოლაცია.

სტრატეგიული ავტონომია მოითხოვს მრავალმხრივ კოორდინაციასა და ინსტიტუციური ლოგიკის ახლებურად განსაზღვრას, რაც ჰიბრიდული პასუხია ჰიბრიდულ წესრიგზე.

დასკვნა

ჩვენი მოსაზრებით, ძალის დიფუზიაზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის ტრანსფორმაცია ქმნის არა ალტერნატიულ წესრიგს, არამედ ახდენს თავად წესრიგის დიფუზიას და ჰიბრიდიზაციას. ძალის დიფუზიის პირობებში უკვე მოხდა ომების ტრანსფორმაცია ჰიბრიდულ ომებად (ბუნდოვანი საზღვრით ომსა და მშვიდობას შორის), მშვიდობის კონცეფციებში ჰიბრიდული მშვიდობის ტერმინის გაჩენა (სადაც ასევე ბუნდოვანია, რა განსხვავებაა მშვიდობასა და კაპიტულაციას შორის). ჰიბრიდული ომისა და ჰიბრიდული მშვიდობის მსგავსად, ჰიბრიდულ წესრიგში ბუნდოვანია თავად წესრიგის არსი და პოლუსებს შორის ინტერაქციის ლოგიკა.

არ ვეთანხმებით რა რეალიზმის არგუმენტებს წესრიგის ცვლილების ლოგიკასთან დაკავშირებით, ვეთანხმებით რეალიზმის ზოგიერთ არგუმენტს წესრიგის ტრანსფორმაციის შედეგებთან დაკავშირებით. ჰიბრიდულ წესრიგში გაჩნდება ახალი გამარჯვებულები და ახალი დამარცხებულები, მიმდინარე პროცესებში გაიზრდება სახელმწიფოების როლი, რომელთაც ახალი ტიპის საფრთხეები უბიძგებს სახელმწიფო ინტერესებზე დაფუძნებული რეალისტური პოლიტიკის წარმოებისკენ.

თუ ნეორეალისტური მულტიპოლარიზმი აღწერს საერთაშორისო სისტემას, როგორც სტრუქტურულად ახალი პოლუსების ბალანსს მატერიალურ ძალაზე დაყრდნობით, ჰიბრიდული წესრიგი გულისხმობს საერთაშორისო სისტემის მრავალდონიან და სიღრმისეულად ბუნდოვან სტრუქტურას, სადაც ძალაუფლება დიფუზირებულია და წესები წინააღმდეგობრივი. თითოეულ აქტორს (სახელმწიფო, გაფართოებული გეოპოლიტიკური სივრცე თუ ალიანსი) თავად მოუწევს განსაზღვროს საფრთხეებთან გამკლავების სტრატეგია, შეიმუშავოს სწრაფი რეაგირების მექანიზმები და დაძლიოს შიდა კონსენსუსის სირთულეები. ჰიბრიდულ საერთაშორისო წესრიგში ღრმავდება როგორც რეგიონალიზმი, ასევე გლობალური ურთიერთდამოკიდებულება. პოლუსად ჩამოყალიბების აუცილებლობას განსაზღვრავს უსაფრთხოების გამოწვევები, თუმცა არ

არსებობს შეთანხმებული წესები პოლუსებს შორის ურთიერთობების დასარეგულირებლად და მე-19 ს.-ის მულტიპოლარობისგან განსხვავებით, თავად პოლუსები სხვადასხვა ზომისა და ტიპის ერთეულებად ჩამოყალიბდება.

ამრიგად, საერთაშორისო წესრიგის ტრანსფორმაცია ძალის დიფუზიის პირობებში შეიძლება ყველაზე ზუსტად განიმარტოს, როგორც წესრიგის ჰიბრიდიზაცია, სადაც თითოეული პოლუსი ფლობს გავლენის განსხვავებულ მექანიზმებს საერთაშორისო პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში. ჰიბრიდული საერთაშორისო წესრიგი დინამიური, ბუნდოვანი და მრავალცენტრიანი სტრუქტურაა, რომელიც ცვლის წესრიგის ჩვეულ ლოგიკას და განსაკუთრებულ საფრთხეებს უქმნის გეოპოლიტიკურ რუხ სივრცეებში მყოფ სახელმწიფოებს, რომლებიც ვერ შეძლებენ საკუთარი თამაშის წესების განსაზღვრას.

Gvantsa Abdaladze

Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Power Diffusion and the Hybridization of International Order

Abstract

The article aims to analyze the transformation of the international order driven by the diffusion of power, both in theoretical terms and through case analysis, with European strategic autonomy selected as the case study. The central question addressed is: How does power diffusion reshape the structure of the international order, the distribution of power, and the system of actors?

Under the conditions of power diffusion, wars have already been transformed into hybrid wars, where the boundary between war and peace has become blurred. Similarly, peace concepts have introduced the notion of hybrid peace, in which the distinction between peace and capitulation is ambiguous. The

transformation of the international order based on power diffusion does not create an alternative order but rather diffuses and hybridizes the existing one. Just as with hybrid war and hybrid peace, in a hybrid order the very essence of order and the logic of interaction among poles remain unclear.

Keywords: international system, power diffusion, strategic autonomy, hybrid order.

ბიბლიოგრაფია:

გოგოლაშვილი, კ. (2023, აპრილი 3). გეოპოლიტიკა დაბრუნდა და ევროკავშირის გეოპოლიტიკური ინტერესიც დაბრუნდა [ინტერვიუ]. დილის საუბრები. რადიო თავისუფლება. <https://www.radiotavisupleba.ge/a/32346866.html>

რონდელი, ა. (2009). პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში (2-ე განახლებული გამოცემა). საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.

Acharya, A. (2017). After liberal hegemony: The advent of a multiplex world order. *Ethics & International Affairs*, 31(3), 271–285. <https://doi.org/10.1017/S089267941700020X>

Acharya, A. (2018). *The end of American world order* (2nd ed.). Polity Press.

Biden, J. (2023, September 19). Remarks by President Biden before the 78th Session of the United Nations General Assembly. *The White House*. <https://bidenwhitehouse.archives.gov/briefing-room/speeches-remarks/2023/09/19/remarks-by-president-biden-before-the-78th-session-of-the-united-nations-general-assembly-new-york-ny/>

Bogaturov, A. D., & Lebedeva, O. (2023). Evolution of the world order and Russia's ideas about the outside world. *International Affairs*. <https://en.interaffairs.ru/article/evolution-of-the-world-order-and-russias-ideas-about-the-outside-world/>

Borrell, J. (2020, December 3). Why European strategic autonomy matters. *European Union External Action*. https://www.eeas.europa.eu/eeas/why-european-strategic-autonomy-matters_en

Bremmer, I. (2012). *Every nation for itself: Winners and losers in a G-zero world*. Portfolio.

Buzan, B., & Wæver, O. (2003). *Regions and powers: The structure of international security*. Cambridge University Press.

Cagnin, C., Muench, S., Scapolo, F., Stoermer, E., & Vesnic Alujevic, L. (2021). *Shaping and securing the EU's open strategic autonomy by 2040 and beyond* (JRC125994). Publications Office of the European Union. <https://doi.org/10.2760/414963>

Consilium. (2022, March 10–11). The Versailles Declaration. Council of the European Union. <https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2022/03/11/the-versailles-declaration-10-11032022/>

- Degterev, D. A. (2019). Multipolar world order: Old myths and new realities. *Vestnik Rossiiskogo Universiteta Druzhby Narodov. Seriya: Mezhdunarodnye Otnosheniya*, 19(3), 404–419. <https://doi.org/10.22363/2313-0660-2019-19-3-404-419>
- Degterev, D. A., & Timashev, G. V. (2019). Concept of multipolarity in Western, Russian and Chinese academic discourse. *Mezhdunarodnye Otnosheniya*, (4). <https://doi.org/10.7256/2454-0641.2019.4.31751>
- Dibb, P. (2016, June). Why Russia is a threat to the international order. *Australian Strategic Policy Institute (ASPI)*. <https://ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/center-for-studies/resources/docs/Why%20Russia%20is%20a%20threat%20to%20the%20international%20orde.pdf>
- Dugin, A. (2021). *The theory of a multipolar world*. Arktos. <https://azon.market/image/catalog/supplier30/153/1535c4fbec36b982828c3e6ef4a5c99a.pdf>
- European Commission. (2025, April 1). *ProtectEU: A European internal security strategy* (COM(2025) 148 final). <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52025DC0148>
- European Council. (2013, December 19–20). *Conclusions (EUCO 217/13)*. <https://data.consilium.europa.eu/doc/document/ST-217-2013-INIT/en/pdf>
- European Union. (2016, June). *Shared vision, common action: A stronger Europe. A global strategy for the European Union's foreign and security policy*. https://eeas.europa.eu/archives/docs/top_stories/pdf/eugs_review_web.pdf
- European Union. (2021, February 5). *Issues paper: Strategic autonomy, strategic choices*. <https://www.consilium.europa.eu/media/49404/strategic-autonomy-issues-paper-5-february-2021-web.pdf>
- European Union. (2022). *A strategic compass for security and defence*. https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/documents/strategic_compass_en3_web.pdf
- European Union. (2024, March). *Annual progress report on the implementation of the strategic compass for security and defence*. https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/documents/2024/StrategicCompass_2ndYear_Report_0.pdf
- European Union. (2022, July). *EU strategic autonomy 2013–2023: From concept to capacity*. *EU Strategic Autonomy Monitor*.

[https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2022/733589/EPRS_BRI\(2022\)733589_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2022/733589/EPRS_BRI(2022)733589_EN.pdf)

European Union. (2022). *Future shocks 2022: Monitoring risks and addressing capabilities for Europe in a contested world*. European Parliamentary Research Service (EPRS).

[https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2022/729374/EPRS_STU\(2022\)729374_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2022/729374/EPRS_STU(2022)729374_EN.pdf)

Foucault, M. (1977). *Discipline and punish: The birth of the prison*. Pantheon Books.

Grinin, L. E., Ilyin, I. V., & Andreev, A. I. (2016). World order in the past, present, and future. *Social Evolution & History*, 15(1), 58–84. https://www.sociostudies.org/journal/files/seh/2016_1/058-084.pdf

Kerr, D. (1994). *Contrasting Russian and Chinese perspectives on the future of Asia* (Doctoral dissertation). University of Glasgow. <https://theses.gla.ac.uk/5667/>

Kerr, D. (2005). The Sino-Russian partnership and U.S. policy toward North Korea: From hegemony to concert in Northeast Asia. *International Studies Quarterly*, 49(3), 411–437.

Keohane, R. O., & Nye, J. S. (2012). *Power and interdependence* (4th ed.). Longman.

Kortunov, A. (2018, June 27). Why the world is not becoming multipolar. *Russian International Affairs Council*. <https://russiancouncil.ru/en/analytics-and-comments/analytics/why-the-world-is-not-becoming-multipolar/>

Macron, E. (2017, September 26). President Macron gives speech on new initiative for Europe. *Elysee*. <https://www.elysee.fr/en/emmanuel-macron/2017/09/26/president-macron-gives-speech-on-new-initiative-for-europe>

Macron, E. (2018, August 27). Speech by the President of the French Republic at the Conference of Ambassadors. *Elysee*. <https://www.elysee.fr/en/emmanuel-macron/2018/08/27/speech-by-the-president-of-the-french-republic-at-the-conference-of-ambassadors>

Macron, E. (2018, November 7). Macron calls for ‘true European army’ to defend against Russia, US, China. *Euractiv*. <https://www.euractiv.com/news/macron-calls-for-european-army-to-defend-against-russia-us-china/>

- Macron, E. (2025, March 5). Address to the French people. *Elysee*. <https://www.elysee.fr/en/emmanuel-macron/2025/03/05/address-to-the-french-people>
- Merz, F. (2025, February 24). Merz strikes urgent tone in calling for more European independence from US. *The Guardian*. <https://www.theguardian.com/world/2025/feb/24/friedrich-merz-germany-europe-independence-from-us>
- Ministry of the Armed Forces (France). (n.d.). *Strategic update and national strategic review*. <https://www.defense.gouv.fr/dgris/politique-defense/actualisation-strategique-revue-nationale-strategique>
- Millerman, M. (2014, December 7). Theory Talk #66: Alexander Dugin on Eurasianism, the geopolitics of land and sea, and a Russian theory of multipolarity. *Theory Talks*. <http://www.theory-talks.org/2014/12/theory-talk-66.html>
- Nye, J. S., Jr. (2002). *The paradox of American power: Why the world's only superpower can't go it alone*. Oxford University Press.
- Putin, V. (2007, February 10). Speech and the following discussion at the Munich Conference on Security Policy. *President of Russia*. <http://en.kremlin.ru/events/president/transcripts/24034>
- Putin, V. (2016, October 27). Vladimir Putin took part in the final session of the Valdai International Discussion Club's 13th annual meeting. *President of Russia*. <http://en.kremlin.ru/events/president/news/53151>
- Putin, V. (2024, November 8). Putin's Valdai speech. *Voice Media Global*. <https://www.voicemedia.global/video/watch-putin-s-valdai-speech>
- Radio Free Europe/Radio Liberty. (1998, December 9). Russia: Prime minister's visit to India renews old ties. <https://www.rferl.org/a/1090240.html>
- Ruggie, J. G. (1994). Third try at world order? America and multilateralism after the Cold War. *Political Science Quarterly*, 109(4), 553–570. <http://www.jstor.org/stable/2151838>
- Schouten, P. (2009, December 19). Theory Talk #35: Barry Buzan on international society, securitization, and an English School map of the world. *Theory Talks*. <http://www.theorytalks.org/2009/12/theory-talk-35.html>
- Schulze, P. W. (Ed.). (2018). *Multipolarity: The promise of disharmony* (pp. 7–13). Campus Verlag.
- Tapply, S. (1998, December 9). Russia: Prime minister's visit to India renews old ties. *Radio Free Europe*. <https://www.rferl.org/a/1090240.html>

United Nations. (1997, May 15). Letter from the Permanent Representatives of China and the Russian Federation to the United Nations addressed to the Secretary-General. *UN Digital Library*.

<https://digitallibrary.un.org/record/234074>

Valdai Discussion Club. (n.d.). *Valdai Club*. <https://valdaiclub.com/>

Valdai Discussion Club. (2025). The polycentric world: Instructions for use. *22nd Annual Meeting Announcement*.

<https://valdaiclub.com/events/announcements/sochi-2025-announcement/>

Wendt, A. (1999). *Social theory of international politics*. Cambridge University Press.

Zakaria, F. (2008). *The post-American world*. W. W. Norton & Company.

YouTube/France24. (2017, September 26). Replay – Watch Emmanuel Macron’s full speech presenting his vision of post-Brexit Europe [Video].

YouTube. <https://www.youtube.com/watch?v=gRiXM8RiCOc>